ARCO

№ 2024-30

მინდობილობა

შ.პ.ს. „არკო“ (ს/კ 202276517) უფლებამოსილებას ანიჭებს გიორგი ბარამიძეს (პ/ნ 01024010320), რათა N 01.17.12.002.170 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გასატარებლად წარმოადგინოს შ.პ.ს. “არკო“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში.

სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებით შ.პ.ს. „არკო“-ს სახელით შეიტანოს განცხადება, თანხმობა, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის ქმედება, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

წარმომადგენელს უფლება აქვს სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებით შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათლით.

შ.პ.ს. „არკო“-ს (ს/კ 202276517) დირექტორი:

გიორგი სანოძე (პ/ნ 01007007145)

ნინო გორდელაძე
წარმოდგენილი თინათინ ყიფიანის
(პ/ნ:01017006767) მიერ
(მინდობილობის საფუძველზე)

02.12.2024 წელი

ARCO LLC
№ 8 Moscow Ave., 0120, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 271 20 72

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

82524989072624

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241205988

რეგისტრაციის თარიღი

11.09.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ა
ტელეფონი: 2 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაოთხი წლის თერთმეტ სექტემბერს მე, ნოტარიუს ეკატერინე გვანცელაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39 „ა“, პირველი სართული. მომმართა: **შპს ‘არკო “-ს (ს/კ 202276517) დირექტორმა ნინო გორდელაძემ** (დაბადებული 11.08.1963წ. რუსეთი, პ/ნ 01026000661, მის: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 23-23ა, ბინა 19), რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს ‘არკო “-ს (ს/კ 202276517)** შესახებ, მომზადების თარიღი 16/08/2024). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დამოწმდება სანოტარო წესით. მე დავადგინე **მისი** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ნინო გორდელაძემ** მომმართა. ვადასტურებ, რომ **მის** ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე **მისი** ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. **მან** მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. **ნინო გორდელაძემ** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **ნინო გორდელაძე, როგორც შპს ‘არკო “-ს (ს/კ 202276517) დირექტორი** ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **თინათინ ყიფიანს** (დაბ.08.11.1977წ, თბილისი, პ/ნ 01017006767) მასზედ, რომ იყოს ჩემი, როგორც **შპს ‘არკო “-ს (ს/კ 202276517**) დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო ორგანოსა და დაწესებულებაში, ფიზიკური და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში, შემოსავლების სამსახურში, თბილისის მერიის დაქვემდებარებულ სტრუქტურებში, მათ შორის: მერიის არქიტექტურის სამსახურში, მართოს და განკარგოს **შპს ‘არკო “-ს (ს/კ 202276517)** კუთვნილი ნებისმიერ უძრავ /მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეები, კერძოდ: გაყიდოს, იყიდოს, გააქირაოს, დადოს იჯარის ხელშეკრულება, გამიჯნოს, გააერთიანოს საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება, განახორციელოს ფართებზე ნებისმიერი ცვლილების რეგისტრაცია, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ქონების მდგომარეობა, მდებარეობა, რაოდენობა, ღირებულება და პირობები. ხელი მოაწეროს უძრავი ქონების წინარე და ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას, გამიჯვნის ხელშეკრულებას, ქირავნობის ხელშეკრულებას და ყველა სხვა სახის ხელშეკრულებას, რაც აუცილებელია უძრავი ქონების განკარგვასთან ან/და შესაძენად (დანართი, დამატებითი შეთანხმებები), ასევე გააუქმოს ზ/აღნიშნული ხელშეკრულებები, წარადგინოს და დაარეგისტრიროს უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, მიიღოს/ჩაიბაროს უძრავი ქონება, ჩაბარების დროს შეამოწმოს ქონების მდგომარეობა და გაადორმოს შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტი, აიღოს და დაფაროს სესხი საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთოს საზოგადოების სახელზე რიცხული ქონება ნებისმიერი მესამე პირის სესხის უზრუნველსაყოფად, ხელი მოაწეროს საბანკო ხელშეკრულებას და მის შემადგენელ საკრედიტო ხელშეკრულებას, მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ შეთანხმებას, იპოთეკის ხელშეკრულებას, განსაზღვროს სესხის თანხა, პროცენტი, ვალუტა და სხვა პირობები, ხელი მოაწეროს დაზღვევის ხელშეკრულებას და ქონების განშლის ხელშეკრულებას და სხვა დოკუმენტაციას საზოგადოების კუთვნილ ქონებაზე, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, მათ შორის იპოთეკის ან/და გირავნობის, საკრედიტო და თავდებობის ხელშეკრულებებს, დაარეგისტრიროს და აიღოს ამონაწერი საზოგადოების კუთვნილ ქონებაზე, იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მართოს და განკარგოს საზოგადოების საბანკო საქმეები (გახსნას, დახუროს ანგარიშები, ხელი მოაწეროს საკრედიტო ხელშეკრულებას, გადარიცხოს, მოიყვანოს კომპანიის დოკუმენტაცია კანონთან შესაბამისობაში, შეიტანოს ცვლილებები და დაარეგისტრიროს შესაბამის ორგანოებში, გადაიხადოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტები, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან, დაესწროს კრებებს და ხელი მოაწეროს ნებისმიერი პარტნიორთა კრების ოქმს, გადაწყვეტილებას, თანხმობას, განცხადებას.
რწმუნებული უფლებამოსილია დირექტორის სახელით დაიცვას საზოგადოების ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, ყველა სახელმწიფო ორგანოსა და დაწესებულებაში და აწარმოოს სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული საქმეები ყველა სასამართლო ორგანოსა და კერძო არბიტრაჟში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, შეიტანოს სარჩელი, ხელი მოაწეროს, გადაიხადოს ბაჟი ყველა იმ უფლებით რაც კანონით აქვს მინიჭებული მოსარჩელეს, მოპასუხეს, აპელანტს, კასატორს, მოწმეს, მესამე პირს და დაზარალებულს, მათ შორის, იმ უფლებითაც რომ დაამთავროს საქმე მორიგებით, მთლიანად და ნაწილობრივ სცნოს ან უარყოს სასარჩელო მოთხოვნები, მიიღოს ქონება და ფული და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ე. გვანცელაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 30 (ოცდაათი) ლარი: 5 (ხუთი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39-ე + დღგ 5.4 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა

ხელმოწერა ---

ნოტარიუსი ეკატერინე გვანცელაძე

